ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ჭავჭავაძის გამზ.№29ა-ში შპს „სითი სთარი“-ს მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის პროექტის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის ანგარიში.

ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ჭავჭავაძის გამზ. №29-ში შპს „სითი სთარი“-ს ტერიტორია 1861 კვ.მ ქალაქმშენებლობითი პარამეტრებით განსაზღვრულია, როგორც საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1(სსზ1) კ1=0.7 კ2=3.5 კ3=0.1

ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის №2482098 13.04.2016 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებულია შპს. „სითი სთარი“-ს მოთხოვნა კოეფიციენტის მეორედ მომატებაზე და ტერიტორიას მიენიჭა კ2=5.9

ზონალური შეთანხმების შესაბამისად გადასახდელი თანხა იანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

L:k2x [k2a-k2]xS

L-მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი. (მიწის ნორმატიული ფასი შეადგენს 340 ლარს.)

k2-მიწის ნაკვეთის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი

k2a-მიწის ნაკვეთის ტერიტორიის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი

S-მიწის ნაკვეთის ფართობი

აქედან გამომდინარე:

340:3.5[5.9-5.4]x1861=90392

კომისიის გადაწყვეტილებაში ბრძანება №1-552 31.03.2016 გადასახდელ თანხად მითითებულია 126548 ლარი. რომელიც არ ემთხვევა დაანგარიშების შედეგად მიღებულ თანხას 90383 ლარს.

ამრიგად გადასახდელი თანხა შეადგენს 90392 ლარს
(ოთხმოცდაათიათასსამასოთხმოცდათორმეტი ლარი)

გადახდა დაიწყოს 2016 წლის 5 მაისიდან და დასრულდეს 2017 წლის 5 აპრილს

თანხის გადახდა მოხდება 12 თვის ვადაში

XI თვე 1000 ლარი XII თვე 79392 ლარი.

ამირან ნიკოლეიშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1–552

"31" მარტი 2016 წ.

ქ. თბილისში, ილ. ჭავჭავაძის გამზირი №29-ში არსებულ მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.012.019), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 166-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე მუხლის და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 4 მარტის სხდომის №10 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, ილ. ჭავჭავაძის გამზირის №29-ში არსებულ მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.012.019), განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=5,9.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.12.2014 წლის №7-49 დადგენილების შესაბამისად ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე. მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი“. ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ანგარიში:GE15LB0125152101629410. **126548** ლარი.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200